

შპს „რუსელოის“-ის  
(ს/კ 404504327)

### განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 14 თებერვლის N21/1152 წერილის საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „რუსელოის“-ის გზშ-ს ანგარიშს.

შპს „რუსელოის“-ის (ყოფილი შპს „ა.დ.ვ.-ტოგო“) მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო განთავსებულია ქ. თერჯოლაში (საკ. კოდი: 33.09.43.699), თბილისი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალიდან თერჯოლის გადასახვევის მოპირდაპირედ, გზის მარცხენა მხარეს, ყოფილი შამპანურის ქარხნის ტერიტორიაზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 20/03/2023 წლის N128/ს ბრძანებით მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თერჯოლაში, შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, შპს „რუსელოისის“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკოპინგის ანგარიში და წარმოდგენილი იქნა სამინისტროში სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით.

კომპანიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 29 ივლისის N389/ს ბრძანებით მიღებული აქვს სკოპინგის დასკვნა N43, რომლის საფუძველზეც შპს რუსელოისის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელ საწარმოს დაევალა გზშ-ს ანგარიშის მომზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ შპს „რუსელოისის“ საწარმოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის N2-1095 ბრძანებით გაცემული გრემოსდაცვითი გადაწყვეტილები და შესაძლებლობის შემთხვევაში გასცეთ საწარმოზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

- დანართი: 1. გზშ-ს ანგარიში, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ფორმით; CD დისკი  
2. ატმოსფერულ ჰაერში მანგანე ნკვთიერებათა ზდგ-ს ნორმების პროექტი, 2 ეგზემპლარი  
3. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზდგ-ს პროექტი 2 ეგზემპლარი  
4. ნარჩენების მართვის გეგმა 2 ეგზემპლარი  
5. გზშ-ს მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტის ქვითრის ასლი  
6. shp -ფაილები

პატივისცემით,  
შპს „რუსელოის“-ს  
დირექტორი: ნ. კველიშვილი  
24.02.2025 წელი

